

ქართული გალობა  
ანთოლოგია

Georgian Chant  
Anthology

XII





საქართველოს ფოლკლორის  
სახელმწიფო ცენტრი  
THE FOLKLORE STATE CENTRE  
OF GEORGIA



საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი  
The Folklore State Centre of Georgia  
ფონდი ქართული გალობა  
Georgian Chanting Foundation

ქართული გალობა  
ანთოლოგია  
ტომი XII

დასავლეთ საქართველოს სამგალობლო ტრადიცია

მწუხრის საგალობლები

Georgian Chant  
Anthology  
Volume 12

The Chant Tradition of Western Georgia

Chants for Vespers

თბილისი  
Tbilisi  
2019





ანთოლოგიის XII—XIII ტომებში სრული სახით პირველად ქვეყნდება ექვთიმე კერესელიძის ხელნაწერი Q672 (დაცულია კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში). ეს კრებული ერთ-ერთია ე. კერესელიძის 3 ყველაზე მსხვილტანადი და მოცულობითი ხელნაწერიდან (Q672, Q673, Q674). მასში მოცემულია ფილიმონ ქორიძისა და ექვთიმე კერესელიძის მიერ ნოტირებული, „სრულიად გალობით“ შესასრულებელი მწუხრისა და პარაკლისების განგებანი და სადღესასწაულო ტროპრები. საგალობელთა დიდი რაოდენობის გამო, ხელნაწერი Q672 ორ (XII—XIII) ტომად იბეჭდება. წინამდებარე ტომში წარმოდგენილია მწუხრის განგების საგალობლები.

Ekvtime Kereselidze's manuscript Q672 (kept at the K. Kekelidze National Center of Manuscripts) is being published for the first time in entirety in Volumes 12-13 of the Anthology. This collection is one of E. Kereselidze's three thickest, most voluminous manuscripts (Q672, Q673, Q674). The services of Vespers and some paracleses to perform fully with chanting and troparia for feast days notated by Philimon Koridze and Ekvtime Kereselidze are shown in these volumes. Due to the large number of chants, manuscript Q672 is being printed as two volumes (12-13). The chants for the service of Vespers are provided in the present volume.

იდეის ავტორი და პროექტის ხელმძღვანელი: სვიმონ (ჯიქი) ჯანგულაშვილი  
**Author and project leader:** Svimon (Jiki) Jangulashvili

XII ტომის შემდგენლები დამუსიკალური რედაქტორები: ლევან ვეშაპიძე, სვიმონ (ჯიქი) ჯანგულაშვილი  
**Compilers and musical editors of Volume 12:** Levan Veshapidze, Svimon (Jiki) Jangulashvili

შესავალი წერილისა და კომენტარების ავტორი: სვიმონ (ჯიქი) ჯანგულაშვილი  
**Author of introduction and comments:** Svimon (Jiki) Jangulashvili

რედაქტორები: რუსუდან წურწუმია, თამარ ჩხეიძე  
**Editors:** Rusudan Tsurtsunia, Tamar Chkheidze

მთარგმნელი: ერიკ ჰალვორსონი,  
**Translator:** Eirik Halworsen

გამოცემაზე მუშაობდნენ: რუსუდან თაბაგარი, ნუცა ნიკოლეიშვილი, მაკა ხარძიანი  
**The publication was prepared by:** Rusudan Tabagari, Nutsa Nikoleishvili, Maka Khardziani

კონსულტანტი: ქეთევან გვაზავა  
**Consultant:** Ketevan Gvazava

კომპიუტერული უზრუნველყოფა: ლევან ვეშაპიძე, სვიმონ (ჯიქი) ჯანგულაშვილი, გიორგი ჯოლბორდი  
**Computer services:** Levan Veshapidze, Svimon (Jiki) Jangulashvili, Giorgi Jolbordi

დიზაინერი: ნიკოლოზ გოგაშვილი  
**Designer:** Nikoloz Gogashvili

პროექტის კოორდინატორები: ნინო რაზმაძე, რუსუდან თაბაგარი  
**Project coordinators:** Nino Razmadze, Rusudan Tabagari,

©საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი  
Folklore State Centre of Georgia

©ფონდი ქართული გალობა  
Georgian Chanting Foundation

ISMN 979-0-802100-95-4 (ყველა ტომის)

ISMN 979-0-802101-38-8 (მეთორმეტე ტომის)

## შესავალი

ანთოლოგიის XII—XIII ტომებში წარმოვადგენთ ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულ, წმიდა აღმსარებლის, ილუმენ ექვთიმე კერესელიძის სანოტო ხელნაწერს Q672. ეს კრებული ერთ-ერთია ე. კერესელიძის 3 ყველაზე მსხვილტანიანი და მოცულობითი ხელნაწერიდან (Q672, Q673, Q674), საგალობელთა დიდი რაოდენობის გამო, იგი გავყავით და ორ (XII—XIII) ტომად ვბეჭდავთ. XII ტომში დაბეჭდილია მწუხრის განგების საგალობლები, ხოლო XIII-ში — დღესასწაულთა ტროპეები, მარხვისა და ზატიკის საგალობლები და ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლისა და იესო ტკბილის პარაკლისები.

XII—XIII ტომებში წარმოდგენილი საგალობლების უმრავლესობა პირველად ქვეყნდება.

აღსანიშნავია, რომ ზემოთ ხსენებულ სამივე დიდტანიან კრებულში ე. კერესელიძეს თავმოყრილი და ლიტურგიკული თანმიმდევრობის შესაბამისად დალაგებული აქვს ფ. ქორიძის მიერ ჩაწერილი, ხელნაწერთა ცენტრის Q და H კოლექციების ქორიძე-კერესელიძისეულ სხვა ხელნაწერებში თუ ქორიძისეულ გამოცემებში დაფიქსირებული მრავალი საგალობელი.<sup>1</sup> ეს სამი ხელნაწერი, ლიტურგიკული სისრულისა და მუსიკალური სიმდიდრის (საგალობელთა მელოდიური და პოლიფონიური განვითარებისა და მრავალფეროვნების) თვალსაზრისით, თავისებურ ხელნაწერ სამგალობლო ანთოლოგიებს წარმოადგენენ. Q672-ში მწუხრის განგების ჰიმნებია მოცემული, Q673-ში — ცისკრისა, ხოლო Q674-ში — წირვის საგალობლები.

ხელნაწერ Q672-ის ყდაზე ვკითხულობთ: „პარტიტურა, წიგნი 16, სრულიად წელიწადსა შინა სახმარებელი რვა-ხმა აღდგომის სამწუხრო საგალობელნი“. სატიტულო გვერდზე აღნიშნულია:

„შინა არსი წიგნისა ამის:

I — სრულიად წელიწადსა შინა სახმარებელი რვა-ხმა აღდგომის სამწუხრო ყოველნი საგალობელნი.

II — სრულიად საქართველოს საქათალიკოსო მართლ-მადიდებელ ეკკლესიის წმიდათა დასთა და საუფლო დღესასწაულთა ტროპარნი.

III — სრული პარაკლისი, საგალობელი და სავედრებელი ყოვლად-წმიდისა ღვთის-მშობელისა მიმართ.

IV — სრული პარაკლისი, საგალობელი და სავედრებელი მაცხოვრისა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს მიმართ“.

<sup>1</sup> მაგალითად, ანთოლოგიის XII—XIII ტომების რიგი ჰიმნები (მცირე ვარიანტული სხვაობებით) მოცემულია ანთოლოგიის VI—VII ტომებად დაბეჭდილ ხელნაწერებში. ისიც აღსანიშნავია, რომ ქორიძე-კერესელიძისეულ სხვა ხელნაწერებში გვხვდება მწუხრის, ცისკრისა და წირვის ისეთი საგალობლებიც, რომლებიც Q672, Q673 და Q674 ხელნაწერებში შეტანილი არაა. ისინი ანთოლოგიის შესაბამის ტომებში დაიბეჭდება.



ამის შემდეგ ხელნაწერში მოცემულია საგალობელთა სარჩევი და უშუალოდ სანოტო პარტიტურა.

ხელნაწერ Q672-ში ე. კერესელიძის მრავალი მინაწერია, ძირითადად, ლიტურგიკული, ასევე, სხვადასხვა შინაარსისა და დანიშნულების მქონე. XII—XIII ტომებში ისინი უცვლელად გვაქვს გადმოტანილი სქოლიოებში. ცვლილება შეეხო მხოლოდ პარტიტურათა ტემპების აღნიშვნაში მოცემულ სიტყვათა მოძველებულ თუ არასწორ ფორმებსა და დიალექტიზმებს (მაგ. „დინჟად“, „საშვალო მოძრაობით“, ნაცვლად ჩვენ მივუთითეთ „დინჯად“, „საშუალო მოძრაობით“ და ა.შ.).

აღსანიშნავია, რომ, როგორც სხვა ხელნაწერთა უმეტესობაში, Q672-შიც ე. კერესელიძე აგრძელებს შუა საუკუნეების გადამწერთა ტრადიციას და სხვადასხვა „სამშვენისებით“ — გეომეტრიული თუ მცენარეული ხასიათის მინიატიურებით ამკობს 830 გვერდიან ხელნაწერს.

ხელნაწერ Q672-ში შეტანილ საგალობელთა შორის გვხვდება, როგორც „სადა“ სტილისათვის დამახასიათებელი შედარებით მარტივი ფაქტურის მქონე საგალობლები (ზედა ხმების როგორც ტერციული, ასევე, კვარტა-კვინტური პარალელიზმით), ისე — „გამშვენებული“ სტილის უკიდურესად პოლიფონიზებული მრავალი ნიმუშიც. აქვე „ჭრელი“ საგალობლებიცაა წარმოდგენილი, რომელთაგან ზოგიერთის ფაქტურა საშუალოდ, ზოგიერთისა კი მძაფრად პოლიფონიზებულია. მრავალი საგალობელი ზომიერად „გამშვენებული“, ან ე. წ. „ნამდვილი კილოს“ სტილის ჰიმნებს წარმოადგენს — ისინი, პოლიფონიურობის თვალსაზრისით, „შუალედური“ ხასიათისაა — მათში ერთმანეთს ენაცვლება პოლიფონიურობის სხვადასხვა „გრადუსის“ მქონე ფაქტურული მონაკვეთები.

\* \* \*

ხელნაწერებში Q672, Q673 და Q674 დაცულია და წარმოჩენილია ღვთისმსახურების აღსრულების ძველი (შუა საუკუნეების) ქართული თავისებურება — როდესაც ღვთისმსახურებაში ყველაფერი, ყველა საღვთისმსახურო ტექსტი, გარდა „საიდუმლო“ ლოცვებისა, ასამაღლებლებისა, დიაკონთა მოწოდება-შეძახილებისა, კვერექსების მუხლებისა და ბიბლიური საკითხავებისა<sup>2</sup>, სამ ხმაში (თანაც, უმრავლეს შემთხვევებში, რვა ხმის ვარიანტებითა და განსხვავებული მელოდიურ-ფაქტურული ვერსიებით) იგალობებოდა.

Q672-სა და Q673-ში მოცემულია საკვირაო (აღდგომისადმი მიძღვნილი) წირვის წინ, შაბათ საღამოს და კვირის ცისკარზე შესასრულებელი ყველა საგალობელი — მთელი წლის რეპერტუარი 8 ხმის სისტემით. მათ შორის მრავლადაა ის საგალობლები, რაც დღევანდელ მსახურებაში იკითხება (მაგ. „უფალო, დაღად-ყვავისა“ და „ყოველი სული აქებდით უფალსას“ შემდგომი ფსალმუნები, 142-ე ფსალმუნი, უამრავი დასდებელი, ტროპარ-გადასათქმელი და მცირე ფორმის ჩასართავი) და, რაც განსაკუთრებით აღსანიშნავია, ისეთებიც, რაც საყოველთაო მართლმადიდებლური

<sup>2</sup> სახარება, სამოციქულო, საწინასწარმეტყველო.

ტრადიციით, მაგალობელთა გუნდის მიერ კი არ იგალობება, არამედ მღვდლის ან დიაკვნის მიერ რეჩიტაციით აღევლინება — „ღმერთი უფალის“, სახარების წარდგომების, სახარების „ყოველი სულის“, „წმიდა არს უფალი ღმერთი ჩვენის“ ცვალებადი ფსალმუნური მუხლები, „ადიდებს სული ჩემის“ წინა ასამაღლებელი „ღვთისმშობელსა დედასა ნათლისასა გალობით ვადიდებდეთ!“... აღსანიშნავია ისიც, რომ წინამდებარე ტომში წარმოდგენილია „ან განუტევს“ რვა ხმის ვარიანტები, რასაც ზოგად-მართლმადიდებლური ტრადიცია არ იცნობს, ტიპიკონი არ ავალდებულებს და ძველ ქართულ ტრადიციას წარმოადგენს<sup>3</sup> (ისევე, როგორც ანთოლოგიის I—IV ტომებში მოცემული წირვის რვა ხმის საგალობლები).

სწორედ ქორიძე-კერესელიძისა და კარბელაშვილთა მიერ ნოტირებული მასალის სისრულისა და მოცულობის გამო აღნიშნავდნენ XIX—XX საუკუნეთა გასაყარზე ქართული გალობის ჩამწერნი თუ მოყვარულნი, რომ მათ ქართული გალობის დაკარგვის შიში აღარ ჰქონდათ, რადგანაც, ყველა საგალობელი ნოტებზე იყო გადატანილი. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ Q672-სა და Q673 ხელნაწერებში წარმოდგენილი შაბათ-კვირის სააღდგომო მსახურების ზემოაღწერილი სისრულე არ ეხება ყველა დღესასწაულს, რომელთა დასდებლები („უფალო, ღაღად-ვყავის“, სტიქარონის, ლიტანიის და ა.შ.), ძლისპირთა გადასათქმელები და ჩასართავები სრული სახით ნოტირებული არაა ქორიძის, კერესელიძისა თუ კარბელაშვილთა მიერ. მაგრამ, ამ დანაკლისის შევსება სავსებით შესაძლებელია — მთავარი ისაა, რომ სამგალობლო მემკვიდრეობაში მოცემულია რვა ხმის მუსიკალური მოდელები, პრაქტიკულად, ყველა საღვთისმსახურო ტექსტისათვის. სურვილისა და საჭიროების შემთხვევაში, ნებისმიერი ლიტურგიკული ტექსტის განყოფილება შეიძლება იმ მუსიკაზე, რითაც ისინი შუა საუკუნეებიდან მოყოლებული იგალობებოდა. XI ტომის შესავალში ჩვენ აღვნიშნეთ კიდევ, რომ უახლესი კვლევებით (სამხარაძე, 2019) დასტურდება, რომ სხვადასხვა ეპოქის საღვთისმსახურო წიგნებში მოცემული საგანგებო ნიშნები და ცეზურები სწორედ ქორიძე-კერესელიძისა თუ კარბელაშვილთა მიერ დაფიქსირებულ კომპოზიციებს ასახავს. ამდენად, ყველა საღვთისმსახურო ტექსტის გალობა და მთელი მსახურების გალობით შესრულების საქმე სავსებით დაძლევადა.

ამასთან, უნდა აღინიშნოს შემდეგიც — ჩვენ შეგვიძლია ხელნაწერებსა თუ გამოცემებში მოცემულ მოდელებს მუსიკაზე გავანყოთ ის ტექსტები, რომლებიც ნოტირებული არაა XIX—XX საუკუნეთა გასაყარზე. მაგრამ, ჩვენთვის სამუდამოდ მიუწვდომელი დარჩება მელოდიურ-ფაქტურული გარდაქმნისა და პოლიფონიური თავისუფლების, მრავალფეროვნების, ფანტაზიის ისეთი მწვერვალები, რომლებიც ჩანს ქორიძე-კერესელიძის, კარბელაშვილთა თუ ა. ერქომაიშვილის ჩანაწერებში. საოცარია, როდესაც „გამშვენებისას“, სტერეოტიპული, მოსალოდნელი ფაქტურულ-ჰარმონიული ნაგებობების ნაცვლად, სრულიად მოულოდნელი ნაგებობები, არაპროგნოზირებადი

<sup>3</sup> ხელნაწერთა Q672, Q673 და Q674 ამ თავისებურებაზე ყურადღება პირველად მუსიკოლოგმა დ. დოლიძემ გაამახვილა (დოლიძე, 1991).

ხმათასვლა და მუსიკალური გამომსახველობის უნიკალური ნიმუშები გვხვდება ერთსა და იმავე ჰანგზე დაფუძნებულ სხვადასხვა საგალობელში. უნიკალურია „ჭრელი“ ნიმუშების მელოდიური მრავალფეროვნება და მუსიკალური გამომსახველობაც. ამ გარემობის საილუსტრაციოდ, თუნდაც XII—XIII ტომებში მოცემული „ჭრელი“ „უფალო, ღალად-ვყავ“-ები და „გამშვენებული“ ტროპრებიც კმარა — მათი მელოდიურ-მელიზმატიკური სტილი, პოლიფონიური სიმდიდრე, ხმათასვლისა და ფაქტურული პარამეტრების განვითარებულობა ქართული სამგალობლო აზროვნების უმაღლეს ეტაპებს ასახავს.

\* \* \*

XIX—XX საუკუნეებში ჩანერილი სამგალობლო მასალა შუა საუკუნეების ქართულ ლიტურგიკულ განგებებს (წირვა, მწუხრი, ცისკარი, პარაკლისი და ა.შ.) წარმოგვიდგენს, როგორც დიდი ფორმის მუსიკალურ ციკლებს, შემდგარს სხვადასხვა სიდიდის ციკლებისა თუ ცალკეული ჰიმნებისაგან. ზოგიერთი მათგანის პოეტური ტექსტი ცვალებადია (კალენდრის მიხედვით), ზოგი კი — მყარი, უცვლელი. ამ გრანდიოზული<sup>4</sup> მუსიკალური კომპოზიციის ნაწილებს ცალკეული ინტონაციური თაღები (განსაკუთრებით, საკადანსო და რეფრენულად განმეორებადი ნაგებობები) აერთიანებს,<sup>5</sup> ხოლო მისი მუსიკალური სახოვანება და გამომსახველობა მიჰყვება ძირითად რელიგიურ-ლიტურგიკულ ხაზს, რომელიც ძველი აღთქმის მოვლენების სიტყვიერი თუ სიმბოლური განსახოვნებიდან მიემართება ღვთისმსახურების ცენტრალურ, კულმინაციურ მომენტამდე — ზიარების საიდუმლოს აღსრულებამდე. სანოტო ჩანაწერებიდან თუ ნარატიული წყაროებიდან ჩანს, რომ ამ გრანდიოზული მუსიკალური ციკლის ცალკეული ნაწილები და მათი ინტონაციური ქარგა იცვლებოდა როგორც კალენდრის მიხედვით, ასევე — ცალკეულ საგალობელთა იმპროვიზაციული გარდასახვისა და „გამშვენების“ პროცესის შედეგად.<sup>6</sup>

\* \* \*

<sup>4</sup> სრულად გალობით შესრულებისას, თითოეული განგება, სავარაუდოდ 3-4 ან მეტი საათის ხანგრძლივობისა იქნება. შესაბამისად, სადღეღამისო ციკლი — მწუხრი, ცისკარი, ჟამები და წირვა — 8-12 საათის მანძილზეც შეიძლება გაგრძელდეს.

<sup>5</sup> ამ საკითხის პირველი და მეტად მნიშვნელოვანი კვლევა, საღმრთო ლიტურგიის მაგალითზე, თ. ჩხეიძეს ეკუთვნის (ჩხეიძე, 1997). ამასთან, მთლიანობაში, ეს პრობლემა (არის თუ არა დიდ ლიტურგიკულ-სამგალობლო განგებათა მუსიკალური მთლიანობა გარკვეული კომპოზიტორული წინასწარგანზრახულობით გააზრებული და განხორციელებული) შემდგომ მუსიკოლოგიურ განხილვას მოეწივს.

<sup>6</sup> აქვე უნდა აღინიშნოს, რომ წინამდებარე ტომში იმპროვიზაციული მრავალფეროვნება და თავისუფლება ვლინდება, არა მხოლოდ ერთ არქეტიპზე დაფუძნებულ საგალობელთა მუსიკალურ ქსოვილში, არამედ ზოგიერთი მათგანის პოეტური ტექსტის აგებულებაშიც. ვგულისხმობთ ფსალმუნურ საგალობლებს: „აკურთხევს სული ჩემი უფალსა“, „ნეტარ არს კაცი“, „უფალო, ღალად-ვყავ შენდამი“. ეს საგალობლები „გამოკრებილი“ ფსალმუნებია — მათში ფსალმუნთა არა ყველა, არამედ ზოგიერთი მუხლი იგალობება. წინამდებარე ტომში მოცემულ ამ საგალობელთა ვარიანტებში ფსალმუნთა სხვადასხვა მუხლია „გამოკრებილი“ და გამღერებული. მათში, ასევე, განსხვავდება რეფრენული ხასიათის ფრაზებიც.



აღსანიშნავია, რომ მწუხრის განგების საგალობლები Q672-ში ე. კერესელიძეს „რიგებად“ აქვს დაყოფილი. თითოეულ რიგში შედის ერთი დასახელების ან იდენტური ლიტურგიკული ფუნქციის მქონე საგალობელთა ვარიანტები. მწუხრში, ე. კერესელიძის კლასიფიკაციით, 18 ასეთი „რიგია“:

**I რიგი:**

„აკურთხევს სული ჩემი უფალსა“-ს ვარიანტები;

**II რიგი:**

დიდი კვერექსის ვარიანტები;

**III რიგი:**

„ნეტარ არს კაცი“-ს ვარიანტები;

**IV რიგი:**

მცირე კვერექსის ვარიანტები;

**V რიგი:**

რვა ხმის „ჭრელი“ „უფალო, ღაღად-ვყავ“-ები, VI ხმის მარტივი „უფალო, ღაღად-ვყავ“, „დასდევ უფალო საცო პირსა ჩემსა“ (140-141 ფსალმუნები მთლიანად);

**VI რიგი:**

„უფალო, ღაღად-ვყავ“-ის დასდებლები და „დიდება-ანდა“ რვა ხმის;

**VII რიგი:**

„ნათელი მხიარული“-ს ვარიანტები;

**VIII რიგი:**

კვირის დღეთა მწუხრის წარდგომები;

**IX რიგი:**

მრჩობლი კვერექსის ვარიანტები;

**X რიგი:**

„და ღირს მყვენ ჩვენ, უფალო“-ს ვარიანტები;

**XI რიგი:**

თხოვნითი კვერექსის ვარიანტები;





**XII რიგი:**

სტიქარონის დასდებლებზე დასართავი ფსალმუნის მუხლები და სტიქარონის დასდებლები რვა ხმის;

**XIII რიგი:**

რვა ხმის „ან განუტევე“-ს ვარიანტები;

**XIV რიგი:**

„ან განუტევე“-ს შემდგომ საგალობელი „ღვთისმშობელო ქალწულო“ და სხვადასხვა ტროპარი, ასევე, რვა ხმის აღდგომის ტროპრები და ღვთისმშობლისები;

**XV რიგი:**

„დაამტკიცე, ღმერთო“-ს ვარიანტები;

**XVI რიგი:**

„უპატოსნესსა ქერუბიმთასა“-ს ვარიანტები;

**XVII რიგი:**

„დიდება, ან და“, „გვაკურთხენ“;

**XVIII რიგი:**

„უკეთილმსახურესი“-ს ვარიანტები.

სწორედ ამ 18 „რიგში“ წარმოდგენილ 240 საგალობელს მოიცავს ანთოლოგიის წინამდებარე ტომი.

ამის შემდეგ, Q672-ში მოცემულია დღესასწაულთა ტროპრები, სხვადასხვა ჰიმნი და 2 პარაკლისი „სრულიად გალობით“ — ყოვლადწმიდა ღვთისმშობლისა და უფლისა-ღვთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი, მეორენაირად — „პარაკლისი იესო ტკბილისა“. ეს საგალობლები ანთოლოგიის XIII ტომშია წარმოდგენილი.

\* \* \*

როგორც ანთოლოგიის სხვა ტომებში, წინამდებარე ტომშიც ჩვენი სარედაქტორო ჩარევა შემოიფარგლება ალტერაციის ნიშანთა ცვლილებითა და აშკარა შეცდომების გასწორებით, რალა თქმა უნდა, ყველგან შესაბამისი მითითებით კომენტარებში.

სქოლიოებშია დაბეჭდილი ხელნაწერში არსებული ავტორისეული აღნიშვნები თუ შენიშვნებიც.

ხელნაწერ Q672-ში საგალობლები რეგულარულ-განმეორებადი ზომის მქონე ტაქტებადაა დაყოფილი, რასაც პირობითი ხასიათი აქვს და არ აქვს შეხება

საგალობელთა მუსიკალური ქსოვილის ორგანიზებისა და განშლა-განვითარების სპეციფიკურ ბუნებასთან. ისევე, როგორც სხვა ტომებში, XII—XIII ტომებშიც ეს საგალობლები თავისუფალი მეტრო-რიტმითაა წარმოდგენილი, ხოლო სხვადასხვა მნიშვნელობის ცეზურების აღსანიშნავად გამოყენებულია ტაქტის მთლიანი ან წყვეტილი ხაზები, ასევე, მძიმეები. ცეზურების გააზრება-შესრულების შესახებ იხ. ანთოლოგიის შესავალი I ტომში.

დედნისეული ტექსტის ყველა ცვლილება შენიშვნებში გვაქვს მოცემული.

ფრჩხილებში ჩასმული ყველა მუსიკალურ-გრაფიკული სიმბოლო (ნოტები, ალტერაციის ნიშნები, ცეზურების აღმნიშვნელი მძიმეები, ფერმატები) ჩვენი ჩამატებულია და მათი შესრულება სავალდებულო არაა.

ზოგიერთი აგოგიური და ექსპრესიული ნიუანსი ხელნაწერში ან მხოლოდ ქართულად, ან მხოლოდ იტალიურადაა ჩანერილი. ანთოლოგიის საერთაშორისო აუდიტორიისათვის გამიზნულობის გამო, ყველა შემთხვევაში, აგოგიური და ექსპრესიული ნიუანსები ქართულად და იტალიურადაა წარმოდგენილი წინამდებარე ტომში.

დედანში, უმრავლეს შემთხვევაში, დინამიური ნიუანსები მხოლოდ I ხმასთანაა ჩანერილი. ჩვენ ყველგან სამივე ხმაში აღვნიშნეთ ისინი.

ანთოლოგიის შესავალ წერილში (იხ. ანთოლოგიის I ტომი) მოცემული მითითებები ეხება ყველა და, მათ შორის, წინამდებარე ტომში დაბეჭდილ საგალობლებსაც.

\* \* \*

საყოველთაოდ ცნობილია, რომ დასავლურ-ქართული გალობის ნოტირება და შემდგომ ამ ნოტების შემონახვა წმინდანებად აღიარებული ფილიმონ ქორიძისა და ექვთიმე კერესელიძის ღვაწლია. Q672, Q673 და Q674 ხელნაწერებზე მუშაობისას (და, უბრალოდ, მათი ხილვისას), კიდევ ერთხელ გიპყრობს ადამიანს განცვიფრება, მოწინება და მაღლიერება ჩუმი თავდადების ღვაწლით გამორჩეული ბერის, ილუმენ ექვთიმე კერესელიძის მიმართ. რომ არა ეს თავგანწირული ადამიანი, ჩვენ, უბრალოდ დაუკარგავდით ათასობით მრავალსახოვანი საგალობლისაგან შემდგარ უნიკალურ ტრადიციას დასავლეთ საქართველოს საეკლესიო მუსიკისა. ექვთიმემ არა მხოლოდ შემოინახა და გადაწერა ფილიმონის მიერ ნოტირებული საგალობლები, არამედ, მათი სისტემატიზაცია მოახდინა, შეჰმატა დაკლებული ნიმუშები თუ ხმები და, შეძლებისდაგვარად, მაქსიმალურად სრულყოფილი სახით გადმოგვცა ეს მუსიკალურ-სულიერი საგანძური. მის ღვაწლს ხშირად და სამართლიანად ადრიან, ასევე წმინდანად აღიარებული ექვთიმე ღვთისკაცის ღვაწლს. ალბათ, კანონზომიერიც იყო, რომ ქართული გალობის მოღვაწეთა შორის, წმინდანად ყველაზე უწინარეს, სწორედ ექვთიმე კერესელიძე შეირაცხა კათოლიკოს-პატრიარქ ილია II და საქართველოს მაღლიერი ეკლესიის მიერ.

ჩვენს რთულ დროში, სწორედ ამ, ერთი მხრივ, ახალი ტიპის, მაგრამ, მეორე მხრივ, მარადიული სულიერი და ეთიკური ღირებულებებით გაბრწყინებული წმინდანების

(ექვთიმე კერესელიძე, ფილიმონ ქორიძე, ძმები კარბელაშვილები, ექვთიმე თაყაიშვილი, დიმიტრი ყიფიანი, ილია ჭავჭავაძე) ღვაწლი და მაგალითი გვიჩვენებს გზას, თუ როგორაა შესაძლებელი, ნებისმიერ ეპოქაში, ნებისმიერ სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებაში, ნებისმიერი პროფესიითა და საქმიანობით ემსახურო ღმერთს, ადამიანს, სამშობლოს — თვითშენიშვნის, თავგანწირული პროფესიონალიზმის, სულიერებისა და თავდადებული სიყვარულის მეშვეობით და მიაღწიო განღმრთობას — ყველა ქრისტიანისათვის სანუკვარ და ღვთივ-მომადლებულ იმ მიზანს, რომელსაც ასეთი მშვენიერებით წარმოგვიდგენენ და განასახიერებენ ქართული საგალობლები.

### ლიტერატურა

1. დოლიძე, დალი. (1991). *ღამისთევის ლოცვის საგალობელთა ლიტურგიკული თავისებურებანი ქართულ საღვთისმსახურო პრაქტიკაში (ე. კერესელიძის „მწუხრისა“ და „ცისკრის“ საგალობელთა კრებულების მიხედვით)*. კრებულში: წურნუშია, რუსუდან (პ/მ. რედ.). *ძველი ქართული პროფესიული მუსიკა. ისტორიისა და თეორიის საკითხები*. (გვ. 193-203). თბილისი: ვ. სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია.
2. სამხარაძე, ნინო, (2019). „შეხვეტილიანი“ — ვნების პარასკევის ცისკრის დასდებლები ქართულ საღვთისმსახურო პრაქტიკაში (ისტორიული და მუსიკალურ-ლიტურგიკული ასპექტები). სამაგისტრო ნაშრომი. თბილისი: ვ. სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია.
3. ჩხეიძე, თამარ (1997). *საღვთო ლიტურგია ღვთისმსახურების ქართულ პრაქტიკაში (მუსიკალურ-ლიტურგიკული ასპექტი)*. საკანდიდატო დისერტაცია. თბილისი: ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია.

### ხელნაწერები

1. Q672 — ქართული საეკლესიო საგალობლების კრებული, სრულიად წელიწადსა შინა სახმარებელი რვა ხმა სამწუხრო საგალობელნი ილუმენ ექვთიმე კერესელიძის ხელნაწერი. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.
2. Q673 — ქართული საეკლესიო საგალობლების კრებული, სრულიად წელიწადსა შინა სახმარებელი რვა ხმა პარაკლიტონი. ილუმენ ექვთიმე კერესელიძის ხელნაწერი. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.
3. Q674 — ქართული საეკლესიო საგალობლების კრებული, სამი წირვის წესი. ლიტურგია მღვდელმთავართათვის. ილუმენ ექვთიმე კერესელიძის ხელნაწერი. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.

## Introduction

The notated manuscript of St. Abbot Ekvtime Kereselidze the Confessor Q672 kept at the National Center of Manuscripts is presented in Volumes 12-13 of the Anthology. This collection is one of E. Kereselidze's three thickest and most voluminous manuscripts (Q672, Q673, Q674). Due to the large number of chants, it has been split up and will be printed as two volumes (12-13). Chants for the service of Vespers are printed in Volume 12, whereas feast day troparia, chants for the Triodion and Pentecostarion, and the paracleses for the Most Holy Theotokos and Sweet Jesus are in Volume 13.

The majority of chants presented in these two volumes is being published for the first time.

It is notable that E. Kereselidze has gathered together and categorized according to liturgical order many chants<sup>1</sup> attested in the other Koridze-Kereselidze manuscripts of the Q and H collections at the Manuscript Center notated by P. Koridze or in publications by Koridze in all three of the aforementioned thick collections. In light of the liturgical completeness and musical richness (the melodic and polyphonic development and diversity of the chants), these three manuscripts represent unique handwritten chant anthologies. Hymns for the service of Vespers are shown in Q672, those for Matins are in Q673, whereas chants for liturgy are in Q674.

On the cover of manuscript Q672 is read: "Score, Book 16, Vespereal Chants of the Resurrection in the Eight Tones to be Used for the Entire Year." It is indicated on the title page:

The contents of this book:

I - All the vespereal chants of the Resurrection in the eight tones to be used for the entire year.

II - Troparia for all the saints of the Georgian Catholic Orthodox Church and for the major feast days.

III - The full paraclesis with all the chants and prayers to the Most Holy Theotokos.

IV - The full paraclesis with all the chants and prayers to Our Lord and Savior Jesus Christ."

After this a table of contents of the chants is shown in the manuscript and the score directly.

There are many postscripts by E. Kereselidze in manuscript Q672 of a liturgical nature, as well as having various content and purposes. They have been copied over into Volumes 12-13 by the editors unchanged in the footnotes. The changes only affected the

---

<sup>1</sup> For example, the set of hymns of Anthology Volumes 12-13 (with slight variant differences) shown in the printed manuscripts presented as Volumes 6-7 of the Anthology. It is also notable that chants for Vespers, Matins, and the liturgy are encountered in other manuscripts belonging to Koridze-Kereselidze, which have not been included in manuscripts Q672, Q673, and Q674. They will be printed in the corresponding volumes of the Anthology.

outdated or incorrect forms and vernacularisms of words shown in the tempo indications of the scores (for example "*dinzhad*", "*sashvalo modzraobit*" were corrected to "*dinjad*", "*sashualo modzraobit*", etc.).

Like in the majority of other manuscripts, it is notable that E. Kereselidze also continues the tradition of medieval scribes in Q672 and adorns the 830-page manuscript with "decorations" - miniatures of a geometric or botanical character.

Encountered among the chants included in manuscript Q672 are hymns having a relatively simple texture characteristic of the "*sada*" style (with parallelism of thirds, also, fourths and fifths in the upper voices,), as well as many extremely polyphonic examples of the "*gamshvenebuli*" style. There are also some "*chreli*" chants presented here - the textures of some of them are semi-polyphonic, whereas some are intensely polyphonic. Many chants represent hymns in a moderately "*gamshvenebuli*" (embellished, ornamented) style, the so-called "real *kilo*". In light of their polyphonic quality, they are of an intermediate character - texture segments having various degrees of polyphonic complexity interchange with each other.

\* \* \*

There is an ancient (medieval) Georgian peculiarity of conducting a church service preserved and shown in manuscripts Q672, Q673 and Q674 - aside from the "secret prayers", ending prayers, the deacon's proclamations, litany verses, and Bible readings,<sup>2</sup> all the service texts were chanted in three-voice polyphony (also, in most cases, with variants of the eight tones and with different melodic, textural versions).

All the chants to be performed on Saturday evening and at Sunday Matins before the Sunday liturgy (devoted to the Resurrection) are provided in Q672 and Q673 - the entire year's repertoire in the eight tone system. Among them are many chants that are read in modern day services (ex. "Lord I Have Cried" and the Psalms after "Let Everything That Has Breath Praise the Lord", Psalm 142, many stichera, troparia, and short verses). What is especially notable, is that there are those which according to universal Orthodox tradition, are not chanted by a choir, but by a priest or deacon in recitative - the interchangeable Psalm verses of "God is the Lord", the Gospel prokeimena, "Let Everything That Has Breath" for the Gospels, "Holy is the Lord Our God"; the glorification before the Magnificat "Let us glorify the Theotokos, the Mother of the Light, in song!"... It also must be pointed out that variants of "Now Lettest Thy Servant Depart" in the eight tones are presented in the current volume, not recognized by common Orthodox tradition. They are not required by the typicon and represent an ancient Georgian tradition<sup>3</sup> (like the chants of the liturgy in the eight tones shown in Volumes 1-4).

---

<sup>2</sup> The Gospel, Acts of the Apostles, Epistles and prophetic books.

<sup>3</sup> The first one to focus on this peculiarity in manuscripts Q672, Q673 and Q674 was D. Dolidze (Dolidze, 1991).

It is really because of the completeness and amount of the material notated by Koridze-Kereselidze and the Karbelashvilis that notators or lovers of Georgian chant remarked at the turn of the 20<sup>th</sup> century that they no longer had a fear of Georgian chant being lost, because all the chants were transcribed into notation. Moreover, it must be noted that the aforementioned completeness of the Saturday and Sunday Resurrection services represented in manuscripts Q672 and Q673 does not have anything to do with the feast days whose stichera ("Lord I Have Cried", the aposticha, litany, etc), troparia for the heirmois, and verses are not fully notated by Koridze, Kereselidze, or the Karbelashvilis. Yet it is quite possible to make up for this shortcoming - the main thing is that musical models in the eight tones for practically all the service texts are shown in the chant heritage. If there is a desire or need, the arrangement of any liturgical text to the music it was chanted with during the Middle Ages is possible. It was even noted by the editors in the introduction to Volume 11, that it is proved by the most recent research (Samkharadze, 2019) that the special signs and caesuras shown in church service books really reflect compositions attested by Koridze-Kereselidze or the Karbelashvilis. Thus, chanting an entire service text and performing an entire service with chant are fully surmountable.

Moreover, the outcome must also be noted - we can arrange the texts not notated at the turn of the 19<sup>th</sup> century to the music of models shown in the manuscripts or publications. But such apexes of melodic, textural transformation, polyphonic freedom, diversity, and imagination that appear in the notated manuscripts of Koridze-Kereselidze, the Karbelashvili brothers, or A. Erkomaishvili will remain forever beyond our grasp. It is amazing when during ornamenting/embellishing a chant, completely unexpected structures, unpredicted voice leading, and unique examples of musical expressionism are encountered in various chants based on one and the same melody instead of the expected textual harmonic structures. Even the melodic diversity and musical expression of "*chreli*" examples are unique. The "*chreli*" "Lord I Have Cried" hymns and the embellished troparia shown in Volumes 12-13 are sufficient to illustrate this fact. The highest stages of Georgian chant thinking is reflected by their melodic, ornamental style, polyphonic richness, voice leading, and developed quality of the textual parameters.

\* \* \*

The chant material notated in the 19<sup>th</sup>-20<sup>th</sup> centuries represents medieval Georgian liturgical services (liturgy, Vespers, Matins, the paraclesis, etc) as large form musical cycles made up of cycles of varying sizes or of individual hymns. In some of them, the poetic text is changeable (according to the calendar), some however are unalterable. The parts of these grandiose<sup>4</sup> musical compositions are joined<sup>5</sup> together by separate

---

<sup>4</sup> When performing a service entirely with chants, each service will supposedly be 3-4 or more hours in length. Accordingly, the day-night cycle - Vespers, Matins, the hours, and liturgy might possibly last 8-12 hours.

intonational arches (especially by repetitive cadential and refrain structures), whereas their musical imagery and expression follow a basic religious, liturgical line. This course sets off from the verbal or symbolic imagery of Old Testament events to the central culmination of the service - carrying out the mystery of the Eucharist. It appears from notated manuscripts or narrative sources that the individual parts of this grandiose musical cycle and their intonational frame changed according to the calendar as well as the result of the improvisational transformation and ornamenting process of individual chants.<sup>6</sup>

\* \* \*

It is notable that the chants of the Vespers service have been categorized into sets in Q672 by E. Kereselidze. In each set are variants of chants having the same title or an identical liturgical function. According to E. Kereselidze's classification, there are 18 such "sets" in Vespers:

Set 1:

Variants of "Bless the Lord O My Soul";

Set 2:

Variants of the Great Litany;

Set 3:

Variants of "Blessed is the Man";

Set 4:

Variants of the short litany;

Set 5:

"*Chreli*" versions of "Lord I Have Cried" in the eight tones, a simple version of "Lord I Have Cried" in tone 6, "Place a Guard Upon My Lips" (according to Psalms 140-141);

---

<sup>5</sup> The first and quite significant study of this issue on the Divine Liturgy belongs to T. Chkheidze (Chkheidze, 1997). Moreover, in entirety, this problem (whether the musical unity of large liturgical chant services has been conceived and implemented through a certain compositional premeditation or not) awaits further musical examination.

<sup>6</sup> It must be mentioned straightaway that the improvisational diversity and freedom in the present volume are not only manifested within the musical texture of chants founded on a single archetype, but also in the make-up of some of their poetic texts. The Psalm chants "Bless the Lord O My Soul", "Blessed is the Man", and "Lord I Have Cried" are implied. These chants are "collective" Psalms - not all the verses, but some of the Psalm verses are chanted. Various Psalm verses have been "collected" and musically arranged in the variants of these chants shown in the present volume. Phrases having a refrain-like quality also differ within them.



Set 6:

Stichera and "Glory-Now and Ever" for "Lord I Have Cried" in the eight tones;

Set 7:

Variants of "Joyful Light";

Set 8:

Vesperal prokeimena for Sundays;

Set 9:

Variants of the Augmented Litany;

Set 10:

Variants of "And Make Us Worthy, O Lord";

Set 11:

Variants of the Beseeching Litany;

Set 12:

Psalm verses to be added to the stichera for the Aposticha and the stichera for the Aposticha in the eight tones;

Set 13:

Variants of "Now Lettest Thy Servant Depart" in the eight tones;

Set 14:

The chant "O Virgin Theotokos" and various other troparia following "Now Lettest Thy Servant Depart", as well as the troparia and theotokia of the Resurrection in the eight tones;

Set 15:

Variants of "Establish O God";

Set 16:

Variants of "More Honorable Than the Cherubim";

Set 17:

"Glory, Now and Ever", "Bless Us";

Set 18:

Variants of "The Most Pious".





The 240 chants presented in these 18 sets are printed in the present volume of the anthology.

After this, troparia for feast days, various hymns, and 2 paracleses with "all the chants" - to the Most Holy Mother of God and Our Lord, God, and Savior Jesus Christ, and another one to Sweet Jesus - are shown in Q672. These chants are presented in Volume 13 of the Anthology.

\* \* \*

Like in other volumes of the Anthology, the editorial interventions consist of changes in accidentals and corrections of apparent errors in the present volume as well; Of course, everywhere with the appropriate indications in the comments.

Indications or remarks by the author in the manuscript are also printed in the footnotes.

The chants in manuscript Q672 are divided into measures of a regular, repetitive size, which are just conditional and have nothing to do with the specific nature of the organization and expansion and development of the chants' musical texture. Like in other volumes, these chants are presented in free rhythm in Volumes 12-13 as well, whereas full or dashed bar lines, and commas are used to denote rests of varying importance. Regarding the interpretation and performance of these rests, see the introduction in the Anthology Volume 1.

All changes in the original text have been shown in the notes by the editors.

All the musical, graphical signs placed in parentheses (notes, accidentals, commas indicating rests, fermatas) have been added by the editors and it is not obligatory to perform them.

Some of the agogic and expressive nuances are either written in only Georgian or only Italian in the manuscript. Because the Anthology is intended for an international audience, in all cases these nuances are presented in both Georgian and Italian in the present volume.

In a majority of cases, dynamic expressions are only written for the first voice in the original. They have been indicated in all three voices by the editors.

In the introductory letter to the Anthology (see Vol. 1), all the indications provided affect all the chants, including those printed in the present volume.

\* \* \*

It is universally known that the notation of Western Georgian chant and then the preservation of these notated manuscripts were the achievements of Philimon Koridze and Ekvtime Kereselidze - recognized as saints. When working on manuscripts Q672, Q673 and Q674 (and just when perusing them), a person is once again overcome with astonishment, reverence, and gratefulness for Abbot Ekvtime Kereselidze, a monk distinguished for the feat of self-sacrificial hesychasm. If not for this selfless person, the unique tradition of the ecclesiastical music of Western Georgia consisting of thousands of diverse chants would have been lost. The chants notated by Philimon Koridze were not only preserved and copied by Ekvtime, he was able to systematize them, add missing

examples or voices, and as perfectly as he was able to do so, hand down to us this treasury of spiritual music. His labors are frequently and justifiably compared to the endeavors of Ekvtime the Man of God (Takaishvili), also recognized as a saint. It was probably even logical that out of those who labored for Georgian chant, Ekvtime Kereselidze, the foremost of them, was canonized a saint by Catholicos-Patriarch Ilia II and the grateful Church of Georgia.

In our difficult times, it is really the labors and examples, on one hand, of a new type, but on the other hand, of saints illumined with eternal spiritual and ethical values (Ekvtime Kereselidze, Philimonn Koridze, the Karbelashvili brothers, Ekvtime Takaishvili, Dimitri Kipiani, Ilia Chavchavadze the Great) showing us the way as to how it is possible to serve God, people, and the homeland in any epoch, social political situation, and through any profession and activity - through self-sacrifice and professionalism, and through spirituality and selfless love to achieve theosis. This is the desired and divinely graced aim of all Christians that Georgian chant presents and embodies for us with such beauty.

### Literature

1. Chkheidze, T. (1997). *The Service of the Divine Liturgy in Georgian Practice (Musical, Liturgical Aspects)*. Dissertation work. Tbilisi: V. Sarajishvili Tbilisi State Conservatoire.
2. Dolidze, Dali. (1991). *Liturgical Peculiarities of Vigil Service Chants in Georgian Liturgical Practice (according to the collections of chants "Vespers" and "Matins" by E. Kereselidze)*. In the collection: Tsursumia, Rusudan (ed.). *Ancient Georgian Professional Music. Historical and Theoretical Issues*. (pg. 193-203). Tbilisi: V. Sarajishvili Tbilisi State Conservatoire.
3. Samkharadze, Nino, (2019). *"Shekhvetiliani" - The Stichera of Holy Friday Matins in Georgian Liturgical Practice (Historical and Musical-Liturgical Aspects)*. Master Thesis. Tbilisi: V. Sarajishvili Tbilisi State Conservatoire.

### Manuscripts

1. Q672 - Collection of Georgian Church Chants, Chants for Vespers in the Eight Tones to be Used for the Entire Year, Abbot Ekvtime Kereselidze's Manuscript. K. Kekelidze National Center of Manuscripts.
2. Q673 - Collection of Georgian Church Chants, Paraklition in the Eight Tones to be Used for the Entire Year. Abbot Ekvtime Kereselidze's Manuscript. K. Kekelidze National Center of Manuscripts.
3. Q674 - Collection of Georgian Church Chants, Three Liturgical Rites, Liturgy for Hierarchs. Abbot Ekvtime Kereselidze's Manuscript. K. Kekelidze National Center of Manuscripts.



## ქართული ანბანის საერთაშორისო ტრანსკრიფცია International transcription of the Georgian alphabet

Mkhedruli	Roman	IPA	Examples	Pronunciation Tips
ა	a	/a/	f <u>a</u> ther	open "ah" vowel sound
ბ	b	/b/	<u>b</u> less	
გ	g	/g/	<u>g</u> iven	
დ	d	/d/	<u>d</u> ay	
ე	e	/ɛ/	s <u>e</u> t	open "eh" vowel sound, between "wet" or "wait". Spanish or German "e".
ვ	v	/v/	<u>v</u> et	vat/twine/tuft - this sound is often "w" when it follows another consonant, or sometimes like "f" when between consonants
ზ	z	/z/	<u>z</u> enith	
თ	t	/t <sup>(h)</sup> /	<u>t</u> oday	
ი	i	/i/	<u>m</u> ee <u>t</u>	bright "ee" vowel sound
კ	k'	/k'/	<u>p</u> ick	non-aspirated "k" has no "h" breathiness in it. Slightly percussive
ლ	l	/l/	<u>l</u> ife	
მ	m	/m/	<u>m</u> entor	
ნ	n	/n/	<u>n</u> ew	
ო	o	/ɔ/	<u>g</u> o	round "oh" vowel sound
პ	p'	/p'/	<u>u</u> p <u>k</u> ee <u>p</u>	non-aspirated "p" has no breathy "h" sound in it
ჟ	zh	/z/	plea <u>s</u> ure	
რ	r	/r/	-	Rolled "r" behind the upper teeth.
ს	s	/s/	<u>s</u> ee	
ტ	t'	/t'/	<u>s</u> i <u>t</u> com	non-aspirated "t"
უ	u	/u/	<u>r</u> oo <u>t</u>	pursed lips round "oo" vowel sound
ფ	p	/p <sup>(h)</sup> /	<u>p</u> ilgrim	soft "p" with plenty of "h" breathiness in it
ქ	k	/k <sup>(h)</sup> /	<u>c</u> all	soft "k" with plenty of "h" breathiness in it
ღ	gh	/ɣ/	Pa <u>r</u> is	Like French "r", produced in back of the throat at the same place as "g" but with friction like "kh". Not overly pronounced or audible
ყ	q	/q'/	-	Produced in the throat as a light glottal stop. Not overly pronounced or audible
შ	sh	/ʃ/	<u>s</u> hine	
ჩ	ch	/tʃ <sup>(h)</sup> /	<u>c</u> h <u>o</u> ose	
ც	ts	/ts <sup>(h)</sup> /	<u>s</u> e <u>t</u> s	
ძ	dz	/dz/	<u>n</u> o <u>d</u> s	
წ	ts'	/ts'/	<u>s</u> i <u>t</u> s near	sort of, if both words are pronounced quickly. non-aspirated "ts"
ჭ	ch'	/tʃ'/	<u>m</u> u <u>c</u> h noise	sort of, if both words are pronounced quickly. non-aspirated "ch"
ხ	kh	/x/	Ba <u>ch</u>	As in Yiddish chutzpah, Scottish loch
ჯ	j	/dʒ/	<u>j</u> oy	
ჰ	h	/h/	<u>h</u> ymn	

© John A. Graham.

Modified from version in "The Transmission and Transcription of Georgian Liturgical Chant," Ph.D. dissertation (Princeton, 2015)



# რვა ხმა სამწუხრო საგალობელი Chants for Vespers in the Eight Tones

## 1. ამინ <sup>1)</sup>

### Amen

ამინ!  
ამინ!  
a - - - - - min!

## 2. მოვედით, თაყვანის-ვსცეთ <sup>2)</sup>

### Come Let Us Worship

მო - ვე-დით, თა - ყვა - ნის-ვსცეთ მე - უ - ფე - სა, ღმერთ - სა ჩვენ-სა!  
მო - ვე-დით, თა - ყვა - ნის-ვსცეთ მე - უ - ფე - სა, ღმერთ - სა ჩვენ-სა!  
mo - ve - dit, ta - qva - nis - vstset me - u - pe - sa, ghmert - sa chven-sa!

მო - ვე - დით, თა - ყვა - ნის-ვსცეთ და შე - უვ - რდეთ ქრის - ტე - სა,  
მო - ვე - დით, თა - ყვა - ნის-ვსცეთ და შე - უვ - რდეთ ქრის - ტე - სა,  
mo - ve - dit, ta - qva - nis - vstset da she - uv - rdet kris - t'e - sa,

1) ეს „ამინ“ წინამდებარე ტომის №11 საგალობელია, რომელიც ჩვენი გადმოტანილია აქ შესასრულებლად.

2) საგალობელი ჩვენი განყოფილია VIII ხმის დასდებლების მელოდიაზე.

1) This "Amen" is the present volume's 11th chant, copied over by the editors for performance.

2) The chant has been arranged by the editors to the melody of sticheron tone 8.

მე - უ - ფე - სა, ღმერთ - სა ჩვენ სა! მო - ვე-დით, თა - ყვა - ნის - ვსცეთ

მე - უ - ფე - სა, ღმერთ - სა ჩვენ სა! მო - ვე-დით, თა - ყვა - ნის - ვსცეთ

me - u - pe - sa, ghmert - sa chven sa! mo - ve - dit, ta - qva - nis - vstset

და შე - უვრ - დეთ თვით ქრის - ტე - სა, მე - უ - ფე - სა და ღმერთ - სა ჩვენ - სა!

და შე - უვრ - დეთ თვით ქრის - ტე - სა, მე - უ - ფე - სა და ღმერთ - სა ჩვენ - სა!

da she - uvr - det tvit kris - t'e - sa, me - u - pe - sa da ghmert - sa chven - sa!

მო - ვე-დით, თა - ყვა - ნის - ვსცეთ და შე - უ - ვრდეთ

მო - ვე-დით, თა - ყვა - ნის - ვსცეთ და შე - უ - ვრდეთ

mo - ve - dit, ta - qva - nis - vstset da she - u - vrdet

მას!

მას!

mas!



### 3. აკურთხევს სული ჩემი უფალსა <sup>1)</sup>

სმა 8

## Bless the Lord O My Soul

Tone 8

2) ძლიერ გრძლად - *Lentissimo*

ა - კურ-თხევს სუ - ლი ჩე - მი უ - ფალ - სა! კურ - თხე - ულ  
 ა - კურ-თხევს სუ - ლი ჩე - მი უ - ფალ - სა! კურ - თხე - ულ  
 a - k'ur-tkhevs su - li che - mi u - pal - sa! k'ur - tkhe - ul

ხარ შენ, უ - ფა - ლო! უ - ფა - ლო, ღმერ - თო ჩე - მო,  
 ხარ შენ, უ - ფა - ლო! უ - ფა - ლო, ღმერ - თო ჩე - მო,  
 khar shen, u - pa - lo! u - pa - lo, ghmer - to che - mo,

3)

გან - სდი - დენ ფრი - ად! კურ - თხე - ულ ხარ შენ,  
 გან - სდი - დენ ფრი - ად! კურ - თხე - ულ ხარ შენ,  
 gan - sdi - den pri - ad! k'ur - tkhe - ul khar shen,

1) ე. კ. [ექვთიმე კერესელიძე]: „მწუხრის 1-ლი დასაწყისი გალობა. - გალობის პირველი რიგი“.

2) ხელნაწერში საგალობელი ნოტირებულია ალტერაციის საგასაღებო ნიშნების გარეშე.

3) წერილი შრიფტით მოცემული რე ჩვენი ჩამატებულია.

1) E. K. [Ekvtime Kereselidze]: "The first chant to begin Vespers".

2) In the original manuscript, the chant is notated without accidentals in the key signature.

3) The D shown in a smaller font has been added in by the editors.



უ - ფა - ლო! აგ - სა - რე - ბა და დი -  
უ - ფა - ლო! აგ - სა - რე - ბა და დი -  
u - pa - lo! agh - sa - re - ba da di -

დად შვე - ნი - ე - რე - ბა შთა - იცვ!  
დად შვე - ნი - ე - რე - ბა შთა - იცვ!  
dad shve - ni - e - re - ba shta - itsv!

კურ - თხე - ულ ხარ შენ, უ - ფა - ლო!  
კურ - თხე - ულ ხარ შენ, უ - ფა - ლო!  
k'ur - tkhe - ul khar shen, u - pa - lo!

მთა - თა ზე - და დას - დგენ წყალ - ნი!  
მთა - თა ზე - და დას - დგენ წყალ - ნი!  
mta - ta ze - da das - dgen ts'qal - ni!



სა - კვირ - ველ ა - რი - ან საე - მე - ნი შენ - ნი,  
სა - კვირ - ველ ა - რი - ან საე - მე - ნი შენ - ნი,  
sa - k'vir - vel a - ri - an sak - me - ni shen - ni,

უ - ფა - ლო! შო - რის მთა - თა სდი - ო - დი - ან წყალ - ნი!  
უ - ფა - ლო! შო - რის მთა - თა სდი - ო - დი - ან წყალ - ნი!  
u - pa - lo! sho - ris mta - ta sdi - o - di - an ts'qal - ni!

სა - კვირ - ველ ა - რი - ან საე - მე - ნი შენ - ნი, უ - ფა - ლო!  
სა - კვირ - ველ ა - რი - ან საე - მე - ნი შენ - ნი, უ - ფა - ლო!  
sa - k'vir - vel a - ri - an sak - me - ni shen - ni, u - pa - lo!

დი - დე - ბა მა - მა - სა და ძე - სა და წმი - და - სა სულ - სა,  
დი - დე - ბა მა - მა - სა და ძე - სა და წმი - და - სა სულ - სა,  
di - de - ba ma - ma - sa da dze - sa da ts'mi - da - sa sul - sa,





ან და მა - რა - დის და უ - კუ - ნი - თი უ - კუ - ნი -  
 ან და მა - რა - დის და უ - კუ - ნი - თი უ - კუ - ნი -  
 ats' da ma - ra - dis da u - k'u - ni - ti u - k'u - ni -

სა - მდე; ა - მინ! დი - დე - ბა შენ - და, უ - ფა - ლო, ყო -  
 სა - მდე; ა - მინ! დი - დე - ბა შენ - და, უ - ფა - ლო, ყო -  
 sa - mde; a - min! di - de - ba shen - da, u - pa - lo, qo -

ვე - ლი - ვე სიბრ - ძნით ჰქმენ!  
 ვე - ლი - ვე სიბრ - ძნით ჰქმენ!  
 ve - li - ve sibr - dznit hkmen!

1) წვრილი შრიფტით მოცემული ალტერნატიული სვლა ჩვენი ჩამატებულია.

1) The alternative voice leading printed in a smaller font has been added by the editors.



## 4. აკურთხევს სული ჩემი უფალსა<sup>1)</sup>

სმა ბ

### Bless the Lord O My Soul

Tone 2

2) ძლიერ დინჯად - Molto Tranquillo

ა - კურ-თხევს სუ - ლი ჩე - მი უ - ფალ - სა!

ა - კურ-თხევს სუ - ლი ჩე - მი უ - ფალ - სა!

a - k'ur-tkhevs su - li che - mi u - pal - sa!

კურ - თხე - ულ ხარ შენ, უ - ფა - ლო!

კურ - თხე - ულ ხარ შენ, უ - ფა - ლო!

k'ur - tkhe - ul khar shen, u - pa - lol!

უ - ფა-ლო, ღმერ-თო ჩე - მო, გან - სდი -

უ - ფა-ლო, ღმერ-თო ჩე - მო, გან - სდი -

u - pa - lo, ghmer-to che-mo, gan - sdi -

1) ე. კ.: „მწუხრის 1-ლი დასაწყისის გალობა“.

2) ხელნაწერში საგალობელი ნოტირებულია ალტერაციის საგასაღებო ნიშნების გარეშე.

1) E. K.: "The first chant to begin Vespers".

2) In the original manuscript, the chant is notated without accidentals in the key signature.

დენ ფრი - ად! კურ-თხე - ულ ხარ შენ,  
დენ ფრი - ად! კურ-თხე - ულ ხარ შენ,  
den pri - ad! k'ur-tkhe - ul khar shen,

უ - ფა - ლო! ალ - სა - რე - ბა და დი-დად შვე-ნი - ე - რე - ბა შთა-იცვ!  
უ - ფა - ლო! ალ - სა - რე - ბა და დი-დად შვე-ნი - ე - რე - ბა შთა-იცვ!  
u - pa - lo! agh - sa - re - ba da di - dad shve - ni - e - re - ba shta-itsv!

კურ-თხე-ულ ხარ შენ, უ - ფა - ლო!  
კურ-თხე-ულ ხარ შენ, უ - ფა - ლო!  
k'ur-tkhe - ul khar shen, u - pa - lo!

მთა - თა ზე - და და - დგენ წყალ - ნი!  
მთა - თა ზე - და და - დგენ წყალ - ნი!  
mta - ta ze - da da - dgen ts'qal - ni!



სა - კვირ-ველ ა - რი - ან სა - ქმე - ნი შენ - - - ნი,  
სა - კვირ-ველ ა - რი - ან სა - ქმე - ნი შენ - - - ნი,  
sa - k'vir - vel a - ri - an sa - kme - ni shen - - - ni,

უ - ფა - ლო! შო-რის მთა-თა დი - ო - დი -  
უ - ფა - ლო! შო-რის მთა-თა დი - ო - დი -  
u - pa - lo! sho - ris mta - ta di - o - di -

ან წყალ - ნი! სა - კვირ-ველ ა - რი - ან სა - ქმე - ნი  
ან წყალ - ნი! სა - კვირ-ველ ა - რი - ან სა - ქმე - ნი  
an ts'qal - ni! sa - k'vir - vel a - ri - an sa - kme - ni

შენ - - - ნი, უ - ფა - ლო!  
შენ - - - ნი, უ - ფა - ლო!  
shen - - - ni, u - pa - lo!



ლი-დე-ბა მა-მა-სა და ძე-სა და წმი - და - სა სულ - სა,  
 ლი-დე-ბა მა-მა-სა და ძე-სა და წმი - და - სა სულ - სა,  
 di - de - ba ma - ma - sa da dze - sa da ts'mi - da - sa sul - sa,

ან და მა-რა-დის და უ-კუ-ნი-თი უ - კუ - ნი - სა -  
 ან და მა-რა-დის და უ-კუ-ნი-თი უ - კუ - ნი - სა -  
 ats' da ma - ra - dis da u - k'u - ni - ti u - k'u - ni - sa -

მდე; ა - მინ! ღი-დე-ბა შენ-და, უ - ფა - ლო,  
 მდე; ა - მინ! ღი-დე-ბა შენ-და, უ - ფა - ლო,  
 mde; a - min! di - de - ba shen - da, u - pa - lo,

ყო - ვე - ლი - ვე სი - ბრძნით ჰქმენ!  
 ყო - ვე - ლი - ვე სი - ბრძნით ჰქმენ!  
 qo - ve - li - ve si - brdznit hkmen!



## 5. აკურთხევს სული ჩემი უფალსა<sup>1)</sup>

ხმა 3

### Bless the Lord O My Soul

Tone 6

2) ავაჯით და მძიმედ - Recitative Grave

3)

ა - კურ-თხევს სუ - ლი ჩე - მი უ - ფალ - სა!

ა - კურ-თხევს სუ - ლი ჩე - მი უ - ფალ - სა!

a - k'ur-tkhevs su - li che - mi u - pal - sa!

უ - ფა - ლო, ღმერ - თო ჩე - მო, გან - სდი - დენ ფრი - ად, აღ - სა - რე - ბა

უ - ფა - ლო, ღმერ - თო ჩე - მო, გან - სდი - დენ ფრი - ად, აღ - სა - რე - ბა

u - pa - lo, ghmer - to che - mo, gan - sdi - den pri - ad, agh - sa - re - ba

და დი - დად შვე - ნი - ე - რე - ბა შთა - იცვ! შე - ი - მო - სე ნა - თე - ლი,

და დი - დად შვე - ნი - ე - რე - ბა შთა - იცვ! შე - ი - მო - სე ნა - თე - ლი,

da di - dad shve - ni - e - re - ba shta - itsv! she - i - mo - se na - te - li,

1) ე. კ.: „მწუხრის 1-ლ დასაწყისი გალობა“.

2) ხელნაწერში საგალობელი ნოტირებულია ალტერაციის საგასაღებო ნიშნების გარეშე.

3) ამ საგალობელში მოცემული პაუზების შესრულება სავალდებულოდ არ მიგვანია. დასაშვებია, მათი გრძლიობა მათ ნინა თანაულერადობებს მიემატოს, ან, აქ უბრალოდ ისუნთქონ მგალობლებმა, პაუზის გარეშე.

1) E. K.: "The first chant to begin Vespers".

2) In the original manuscript, the chant is notated without accidentals in the key signature.

3) The performance of the rests shown in this chant does not seem to be obligatory. It is permissible for their length to be added to the preceding harmonies, or for chanters to just take a breath here without a rest.



ვი-თარ-ცა სა - მო - სე - ლი! გარ - და - არ - თხენ ცა - ნი, ვი - თარ - ცა კა - რავ - ნი!  
ვი-თარ-ცა სა - მო - სე - ლი! გარ - და - არ - თხენ ცა - ნი, ვი - თარ - ცა კა - რავ - ნი!  
vi - tar - tsa sa - mo - se - li! gar - da - ar - tkhen tsa - ni, vi - tar - tsa k'a - rav - ni!

რო - მელ - მან დარ - თნა წყლი - თა ზეს - კნელ - ნი მის - ნი!  
რო - მელ - მან დარ - თნა წყლი - თა ზეს - კნელ - ნი მის - ნი!  
ro - mel - man dar - tna ts'qli - ta zes - k'nel - ni mis - ni!

რო - მელ - მან დას - ხნა ღრუ - ბელ - ნი აღ - სა - ვა - ლად თვი - სად!  
რო - მელ - მან დას - ხნა ღრუ - ბელ - ნი აღ - სა - ვა - ლად თვი - სად!  
ro - mel - man das - khna ghru - bel - ni agh - sa - va - lad tvi - sad!

რო - მე - ლი იქ - ცე - ვის ფრთე - თა ზე - და ქარ - თა - სა! რო - მელ - მან შექმნ - ნა  
რო - მე - ლი იქ - ცე - ვის ფრთე - თა ზე - და ქარ - თა - სა! რო - მელ - მან შექმნ - ნა  
ro - me - li ik - tse - vis prte - ta ze - da kar - ta - sa! ro - mel - man shekmn - na



ან - გე-ლოზ-ნი მის - ნი სუ-ლად და მსა - ხურ - ნი მის - ნი ა - ლად ცეცხ-ლი სა!

ან - გე-ლოზ-ნი მის - ნი სუ-ლად და მსა - ხურ - ნი მის - ნი ა - ლად ცეცხ-ლი სა!

an - ge - loz - ni mis - ni su - lad da msa-khur - ni mis - ni a - lad tsetskh-li sa!

რო - მელ - მან და - ა - ფუძ - ნა ქვე - ყა - ნა

რო - მელ - მან და - ა - ფუძ - ნა ქვე - ყა - ნა

ro - mel - man da - a - pudz - na kve - qa - na

სიმ-ტკი - ცე - სა ზე - და თვის - სა, ა - რა შე - იძ - რას ი - გი

სიმ-ტკი - ცე - სა ზე - და თვის - სა, ა - რა შე - იძ - რას ი - გი

sim-t'k'i - tse - sa ze - da tvis - sa, a - ra she - idz - ras i - gi

უ - კუ - ნი - თი უ - კუ - ნი - სამ - დე! ი - ყავნ დი-დე-ბა უ-ფლი-სა უ - კუ - ნი - სამ-დე!

